



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

3500, საქართველო, ქ. ოზურგეთი, კოსტავას ქ.
№1 Kostava str. Ozurgeti, 3500, Georgia.

www.ozurgeti.gov.ge

ქ. ოზურგეთი

N 38

19/09/2017

38-03-4-201709191630



განკარგულება №38
19 სექტემბერი 2017 წელი

„ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის (ს/კ 237113850) საკუთრებაში არსებული ნაგავმზიდი ავტომობილის Mercedes-Benz (რეგისტრაციის ნომერი SS-594-FF გამოშვების წელი 2016 რეგისტრაციის თარიღი 20.06.2017წ.) ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სერვისცენტრისათვის არსებობის ვადით, უსასყიდლოდ, თხოვების ფორმით გადაცემის შესახებ“ - ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის თაობაზე

„საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 61-ე მუხლის 1-ლი და 2-ე ნაწილის და 122-ე მუხლის მე-4-6 პუნქტების შესაბამისად, ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

მუხლი 1. თანხმობა მიეცეს, ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერს, ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ცალ კომპაქტორიან ნაგავმზიდი ავტომობილის Mercedes-Benz (რეგისტრაციის ნომერი SS-594-FF გამოშვების წელი 2016 რეგისტრაციის თარიღი 20.06.2017წ.) ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის

„ოზურგეთის სერვისცენტრი“-სათვის (ს/კ 437063026) არსებობის ვადით, უსასყიდლოდ, თხოვნების ფორმით გადაცემის შესახებ.

მუხლი 2. განკარგულება დაინტერესებული პირის მიერ შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. ოზურგეთი, ი. სიორიძის ქ. N14) მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

მუხლი 3. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

ნინო გოგუაძე

საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი
ხელმძღვანელობა

